**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განკარგულება №390**

**2024 წლის 12 ივლისი**

**ქ. თბილისი**

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობ დუდუხანა წეროძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევს და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს მსახიობის დუდუხანა წეროძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

X:483976 Y:4617026